

**ტექნიკური დავალება**

	ავტომანქანის მარკა	ავტომანქანის მოდელი	ავტომანქანის სახელმწიფო ნომერი	ავტომანქანის რაოდენობა (ერთეული)	გამოშვების წელი	ავტომანქანის ტიპი ანუ სახეობა	ავტომანქანის ადგილმდებარეობა
N	1	2	3	4	5	6	
1	TOYOTA	LANDCRUISER 100	GN-010-EA	1	2001	ჯიპი	ქ.თბილისი
2	VAZ	21214 (NIVA)	TBI-682	1	2006	სედანი	ქ.თბილისი
3	RENAULT	DUSTER	GN-011-EA GN-014-EA GN-041-EA	3	2014 2014 2017	სედანი	ქ.თბილისი
4	SUZUKI	SX4	NEA-004	1	2015	სედანი	ქ.ქუთაისი
5	TOYOTA	HILUX	GN-013-EA	1	2007 2007	ჯიპი	ქ.თბილისი ქ.ქუთაისი
6	TOYOTA	HILUX SURF	GSG-430	1	1993	ჯიპი	ქ.თბილისი
7	FORD	RANGAR	GN-017-EA GN-018-EA	2	2008 2007	ჯიპი	ქ.თბილისი ქ.თბილისი
8	OPEL	VIVARO	GN-020-EA	1	2004	მიკროავტობუსი	ქ.თბილისი
9	MITSUBISHI	L200	GN-019-EA GN-021-EA GN-024-EA GN-025-EA GN-027-EA LG-363-GL LG-364-GL	7	2014 2014 2014 2014 2014 2017 2015 2015 2015	ჯიპი	ქ.თბილისი ქ.თბილისი ქ.ქუთაისი ქ.თბილისი ქ.თბილისი ქ.ბათუმი ქ.თბილისი ქ.თბილისი ქ.თბილისი
10	MERCEDES	BENC 208 D	BA-411-AC	1	1999	მიკროავტობუსი	ქ.ბათუმი
11	LANDROVER	DISCOVER 3	GN-050-FA AE-633-AA	2	2007 2007	ჯიპი	ქ.თბილისი
12	FORD	TRANZITN 350M	GN-030-EA	1	2016	მიკროავტობუსი	ქ.თბილისი

შესყიდვის ობიექტია სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს ბალანსზე რიცხული ავტომანქანების რეცხვის და ქიმიური წმენდის მომსახურება ცხრილში მითითებული ავტომანქანებისთვის.

1. რეცხვითი მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:
  - 1.1. ავტომანქანების რეცხვა/გასუფთავების მომსახურება (გარდა ქიმიური რეცხვისა (ქიმიწმენდა)) უნდა განხორციელდეს მხოლოდ საბარათე (პლასტიკური ბარათი) სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს შემდეგს: ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებულია, შემსყიდველი უზრუნველყოს ისეთი ტიპის ელექტრონული საშუალებით, რომლის მეშვეობითაც შემსყიდველს შესაძლებლობა ექნება გააქტიუროს შემენილი, მისი კუთვნილი რეცხვის მომსახურების ლიმიტები სპეციალურ ანგარიშზე, და გადასცეს სისტემაში შესასვლელი მომხმარებლის სახელი და პაროლი, ონლაინ, 24 საათის განმავლობაში შეუზღუდავად, პლასტიკურ ბარათებზე მისი შემდგომი განაწილების მიზნით. სპეციალურ ანგარიშზე რეცხვის მომსახურების ჩარიცხვის შემდეგ იგი უნდა წარმოადგენდეს შემსყიდველის საკუთრებას და შემსყიდველს უფლება უნდა ჰქონდეს ანგარიშზე არსებული ნაშთის ფარგლებში შეუზღუდავად, თავისი შეხედულებისამებრ, გადაანაწილოს მის კუთვნილ ერთ ან რამდენიმე პლასტიკურ ბარათზე რეცხვითი

მომსახურების ლიმიტები. პლასტიკური ბარათის წარდგენის შემთხვევაში მისი წარმდგენი უფლებამოსილია მიიღოს ბარათზე ჩარიცხული რეცხვის მომსახურება მიმწოდებლის კუთვნილ ნებისმიერ ავტოსამრეცხაო სადგურში.

1.2. პლასტიკური ბარათი უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) შემსყიდველის დასახელებას;
- ბ) მიმწოდებლის დასახელებას;
- გ) რეცხვის პლასტიკური ბარათის იდენტიფიცირების უნიკალურ ნომერს;
- დ) ავტომანქანის სახელმწიფო ნომერს;

1.3. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, რეცხვის პლასტიკური ბარათების დამზადება არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში და სპეციალური ანგარიშის გახსნა, ხოლო ელექტრონულად თანხით შევსება და „შემსყიდველისათვის“ უსასყიდლოდ მიწოდება მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.4 პლასტიკური ბარათის დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ახალი პლასტიკური ბარათის შემსყიდველისათვის უსასყიდლო მიწოდება, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

1.5. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მიმდინარეობის პროცესში, შემსყიდველს ბალანსზე დაემატება ახალი ავტომანქანა, შელმსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს დამატებითი პლასტიკური ბარათის დამზადება უფასოდ.

1.6. საბარათე სისტემის საშუალებით მომსახურების გაწევის შემთხვევაში, ყოველ სამრეცხაო ობიექტზე განთავსებული უნდა იყოს შესაბამისი საბარათე სისტემის წამკითხველი (გასატარებელი) მოწყობილობა, რომელზეც სამრეცხაო ბარათის დაფიქსირების დროს უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მომსახურების მომენტალური ასახვა ელექტრონულ სისტემაში (შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე).

1.7. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების როგორც ექსტერიერის (ძარა), ასევე ინტერიერის (სალონი, საბარგული) სრულად რეცხვა, გასუფთავება და გამშრალება, სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და სარეცხი საშუალებების გამოყენებით.

1.8. რეცხვისთვის გამოყენებული უნდა იყოს მაღალი ხარისხის სარეცხი და საწმენდი საშუალებები.

1.9. ავტომანქანების გარედან რეცხვა უნდა მოხდეს ე.წ. უკონტაქტო რეცხვის მეთოდის გამოყენებით, რომელიც არ აზიანებს ავტომანქანის საღებავს.

2. აუცილებელი მოთხოვნები:

2.1. ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა რეცხვის მომსახურების მიწოდება უნდა უზრუნველყოს ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ავტოსამრეცხაოებში, შემდეგი პირობებით:

2.2. პრეტენდენტს საკუთრების/სარგებლობის უფლებით უნდა გააჩნდეს ქ. თბილისში ავტომანქანების რეცხვის მინიმუმ 3 (სამი) სამრეცხაო, რომელთაგან თითოეული უნდა მოიცავდეს მინიმუმ 2 (ორი) სამრეცხაო ბოქსს, ხოლო ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში ავტომანქანების რეცხვის მინიმუმ 1 (ერთი) სამრეცხაო, რომლებიც უნდა მოიცავდეს მინიმუმ 1 (ერთი) სამრეცხაო ბოქსს.

2.3. ქ. თბილისში სამრეცხაოები და ქიმიკალებისთვის განკუთვნილი ბოქსები აუცილებლად განთავსებული უნდა იყოს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს იურიდიული მისამართიდან (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის N 150) არაუმეტეს 7-კმ საავტომობილო გზის დაშორებით.

2.4. შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, წინასწარი დაჯავშნის შემთხვევაში, მიმწოდებელმა შეთანხმებულ დროს უნდა განხორციელოს რეგარეშე მომსახურება, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში მომსახურება უნდა განხორციელდეს (დასრულდეს) რეცხვის პლასტიკური ბარათების წარდგენიდან არაუმეტეს 1 (ერთი) საათის განმავლობაში.

2.5. ავტოსამრეცხაოებში რეცხვითი და ქიმიური წმენდის მომსახურებით სარგებლობა შესაძლებელი უნდა იყოს ყოველდღე არანაკლებ 09:00 სთ-დან 19:00 სთ-მდე.

3. ქიმიური წმენდის მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში მიმწოდებლის მიერ დამზადებული ბარათების ან ტალონების მეშვეობით, რომელიც უნდა შეიცავდეს მინიმუმ შემდეგ ინფორმაციას:

- ა) შემსყიდველის დასახელებას **(ტალონის შემთხვევაში არ არის სავალდებულო);**
- ბ) მიმწოდებლის დასახელებას ან ლოგოს;
- გ) პლასტიკური ბარათის იდენტიფიცირების უნიკალურ ნომერს (ან ტალონის იდენტიფიცირების ნომერს);
- დ) ავტომანქანის სახელმწიფო ნომერს **(ტალონის შემთხვევაში არ არის სავალდებულო);**
- ე) ტალონის შემთხვევაში ავტომანქანის სახეობას (სედანი/ჯიპი/მიკროავტობუსი).

3.1. „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს „შემსყიდველის“ მიერ ეტაპობრივად მოთხოვნილი რაოდენობის მიხედვით, პლასტიკური ბარათის ან ტალონების დამზადება და „შემსყიდველისათვის“ უსასყიდლოდ მიწოდება მოთხოვნიდან არაუმეტეს: პლასტიკური ბარათის შემთხვევაში 5 (ხუთი), ხოლო ტალონის შემთხვევაში 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ქიმიური წმენდის მომსახურება (ასევე ავტომანქანის გაშრობა) უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, მიმწოდებლის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ავტოსამრეცხაოებში შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ მიმწოდებელზე გადაცემული დავალებიდან (პასტიკური ბარათის ან ტალონის წარდგენიდან) არაუგვიანეს 48 საათის ვადაში.

3.3. ავტომანქანის ქიმწმენდა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობებით:

3.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების - სედანისა და ჯიპის ტიპის ავტომანქანების ქიმიური წმენდის მომსახურების გაწევა, რაც მოიცავს ავტომანქანების ინტერიერის, სალონის და საბარგულის სრულად წმენდას შესაბამისი ხსნარებით.

3.5. წმენდა უნდა მოხდეს სპეციალური მოწყობილობების, ინვენტარისა და საწმენდი საშუალებების გამოყენებით;

3.6. წმენდისას უნდა მოხდეს სალონის პლასტიკური და ტყავის/ნაჭრის ელემენტების დამუშავება დამცავი და დამარბილებელი სპეციალური სითხით და კრემებით, სალონის გაწმენდა და დეზინფექცია, არასასიამოვნო სუნის ლიკვიდაცია;

4. მომსახურების გაწევის დროს მიმწოდებლის ბრალეულობით შემსყიდველის ავტომობილზე მიყენებული ნებისმიერი ზარალის აღმოფხვრის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს;

5. შემსყიდველი არ არის ვალდებული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი შეისყიდოს სრულად.

6. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:

6.1. ინფორმაცია ქ. თბილისში, ქ. ქუთაისსა და ქ. ბათუმში ავტოსამრეცხაოების და ქიმწმენდისთვის განკუთვნილი ბოქსების მდებარეობის შესახებ (ზუსტი მისამართებისა და ბოქსების რაოდენობების მითითებით).

6.2. ავტოსამრეცხაოების საკუთრების ან სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ ავტოსამრეცხაოები არ წარმოადგენს პრეტენდენტის საკუთრებას, სისტემაში უნდა აიტვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები (იჯარის ან სხვა სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რომლის მოქმედების ვადა უნდა ვრცელდებოდეს არანაკლებ 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.3. პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი (ნომრები), რომლის (რომელთა) საშუალებითაც შემსყიდველი განახორციელებს მომსახურების წინასწარ დაჯავშნას, რის საფუძველზეც მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს რიგგარეშე მომსახურება.

პრეტენდენტის ხელმოწერა -----

ბ.ა./ხელმოწერის სახელი, გვარი/